საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ლ. ჯ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.06.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: N038/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ღ.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ღ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 8 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ლ. ჯ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. ღ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი არის მარტოხელა, პენსიონერი, ამჟამად რთულ მდგომარეობაში მყოფი, რადგან მას წაყენებული აქვს ბრალი თაღლითობისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ბრალის წაყენებამდე, მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი დ. ღ., რომელთანაც

მოლაპარაკება მიმდინარეობდა იმის თაობაზე, რომ საბოლოოდ გაფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან ადვოკატს, მისსავე ოფისში ხელზე გადასცა 400 ამერიკული დოლარი, რა დროსაც ისინი შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი მას დაეხმარებოდა და სამართლებრივად დაიცავდა მის ინტერესებს, თუმცა საჩივრის ავტორის განმარტებით, ის ადვოკატმა მოატყუა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან მთლიანობაში ადვოკატს ჰონორარის სახით გადაუხადა 2500 ამერიკული დოლარი, თუმცა მას შემდეგ რაც იგი დააკავეს, ადვოკატმა იმოქმედა მოტყუებით, გააყიდინა მას უძრავ-მოძრავი ქონება - კუთვნილი მანქანა და ფერმა, რაც საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი საარსებო წყარო იყო.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატთან მისი დაკავშირება მოხდა მესამე პირის - ბ. გ.-ის მეშვეობით, რომელთან ერთადაც ადვოკატი გახვეული იყო თაღლითურ სქემებში. ბ. გ.-ის ბრალეულობის დამადასტურებელი ხელნაწერები კი, ინახებოდა მის ჩანთაში, რომელიც მან თავისი ნებართვით გადასცა ადვოკატს, რომელმაც შემდეგ აღნიშნული ხელნაწერები გაანადგურა. გარდა ამისა, ადვოკატმა იცოდა, რომ გადახდილი ჰონორარის ქვითრებიც ჩანთაში ინახებოდა, ამიტომ გამიზნულად დაწვა ისინი.

1.6 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი მის ზარებს არ პასუხობდა, ციხიდან გაგზავნილ წერილებს კი უკან უბრუნებდა. შესაბამისად, არც სასამართლოზე არ ცხადდებოდა და თავის მოვალეობას არ ასრულებდა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ადვოკატს მასთან არანაირი ურთიერთობა აღარ ჰქონდა.

1.7 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა დააბრუნა გადახდილი ჰონორარის მხოლოდ ნაწილი - 2000 ლარი, დანარჩენი კი მისთვის არ დაუბრუნებია.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მხრიდან მას მიადგა მორალური ზიანი, რადგან ადვოკატი მას ატყუებდა და სათანადოდ არ ახორციელებდა მის დაცვას. ადვოკატი დ. ღ. არ იმსახურებს ადვოკატის სტატუსს, რადგან მსგავსი მოქმედებებით, იგი კიდევ ბევრ ადამიანს მიაყენებს ზიანს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დ. ღ.-მ 2021 წლის 15 სექტემბერს ეთიკის კომისიასთან გასაუბრებისას განმარტა, რომ ლ. ჯ.-ის მხრიდან, მის მიმართ წარმოდგენილია ცრუ ბრალდებები და შესაბამისად, საჩივარი უსაფუძვლოა.

2.2 ადვოკატი განმარტავს, რომ ლ. ჯ. საადვოკატო მომსახურების თაობაზე მას 2020 წლის მარტის დასაწყისში დაუკავშირდა ბ. გ.-ის მეშვეობით, რომელიც არის მაკლერი. ლ. ჯ.-ს სურდა სამართლებრივი დახმარების მიღება, რადგან მან ნაქირავები საცხოვრებელი სახლი, სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გადააგირავა მესამე პირზე, ბინის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. რის გამოც, როგორც ბინის მესაკუთრე, ისე მესამე პირი ითხოვდნენ მისგან ზიანის ანაზღაურებას - თანხის გადახდას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან შეხვედრები გამართა ბინის მესაკუთრესთან და ასევე იმ პირთან, რომელთანაც ლ. ჯ.-ს ჰქონდა სესხის ხელშეკრულება გაფორმებული და მათთან მიაღწია შეთანხმებას, რომ ლ. ჯ. შეასრულებდა ფინანსურ ვალდებულებას ორივე მხარის წინაშე, გადაიხდიდა დაახლოებით 8000 ლარს და ასევე დაფარავდა ბინის ქირასაც.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ვალდებულების შესასრულებლად მხარეებთან შეთანხმება შედგა ერთთვიანი ვადის თაობაზე. ერთ თვეში ლ. ჯ. ორივე მხარეს გადაუხდიდა თანხას. თუმცა, დაემთხვა პანდემიის პერიოდი და ქვეყანაში შექმნილი საერთო ვითარებიდან გამომდინარე, ლარისამ სთხოვა ადვოკატს, რომ კიდევ ერთი თვით გადაეწიათ ვადა, ვალდებულების შესასრულებლად.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ იგი კვლავ შეხვდა ორივე მხარეს და ადვოკატთან საუბრის საფუძველზე კიდევ ერთი თვით გადააწევინა თანხის გადახდის ვადა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ლ. ჯ.-მ მაინც ვერ შეასრულა ვალდებულება და მხარეებისთვის თანხა არ გადაუხდია.

2.6 ადვოკატის განმარტებით, იგი სთავაზობდა თავის კლიენტს, რომ იქნებ თანხის ნახევარი მაინც გადაეხადა და ეჩვენებინა მხარეებისთვის, რომ ვალდებულების შესრულებაზე უარს არ ამბობდა, თუმცა ლარისამ ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა და მხარეები უკვე აპირებდნენ, რომ მიეღოთ შესაბამისი ზომები და ლ. ჯ. მიეცათ პასუხისგებაში თაღლითობის გამო.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ ამ პერიოდში მისი კლიენტის მიმართ აღძრული იყო სხვა მსგავსს ქმედებებზე სისხლის სამართლებრივი დევნა, რის შედეგადაც ლ. ჯ. დააკავეს. ადვოკატის განმარტებით, ლ. ჯ.-ის ინტერესების დასაცავად მან ჯამში მოითხოვა 2500 ლარი და არა 2500 დოლარი, რასაც მომჩივანი უთითებს. აღნიშნული თანხა მან მიიღო თავისი კლიენტის ნდობით აღჭურვილი პირისაგან. თანხის გადახდა კი, როგორც მან შეიტყო მოხდა, ამ პირისა და ლარისას საერთო სარგებლობაში მქონე ავტომანქანის გაყიდვით.

2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ მას შემდეგ რაც ლ. ჯ. დააკავეს, იგი ხშირად მიდიოდა მასთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და უწევდა საადვოკატო მომსახურებას, თუმცა მისი კლიენტი უკმაყოფილებას გამოთქვამდა, იმის გამო, რომ თითქოს ადვოკატი მას ატყუებდა და სათანადოდ არ ემსახურებოდა.

2.9 ადვოკატის განმარტებით, ამის შემდეგ ლ. ჯ.-მ მას ბრალი დასდო, რომ ის ბ. გ-სთან ერთად მოქმედებდა თაღლითურ მაქინაციებში და მასაც წვლილი მიუძღვოდა აღნიშნული საქმეების ამგვარად წარმართვაში. ადვოკატი განმარტავს, რომ ლარისა მას ადანაშაულებდა, რომ ის იყო ორგანიზატორი, აგვარებდა ნოტარიუსთან საქმეებს, შესაბამისად სისხლისსამართლებრივ დანაშაულში სდებდა ბრალს. გარდა ამისა, ბრალს სცდება ფერმისა და მანქანის გაყიდვის გამოც. ამის გამო, ადვოკატმა გადაწყვიტა, მასთან შეეწყვიტა მომსახურების ხელშეკრულება.

2.10 ადვოკატი განმარტავს, რომ ლ. ჯ. მისი ნდობით აღჭურვილი პირის სახელით, მოითხოვდა თანხის უკან დაბრუნებას და მან დაუბრუნა 2000 ლარი, რადგან დარჩენილი 500 ლარის მომსახურება, მას უკვე შესრულებული ჰქონდა.

2.11 ადვოკატი განმარტავს, რომ საბოლოოდ მასსა და ლ. ჯ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყდა, თუმცა მან ციხეში თავისი ყოფილი კლიენტი რამდენჯერმე მოინახულა, ადამიანური თანადგომის მოტივით.

2.12 ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მასსა და ლ. ჯ.-ს შორის ურთიერთობა დასრულებული იყო, ლარისა მაინც მოითხოვდა საადვოკატო მომსახურების გაწევას, რადგან თვლიდა, რომ მის საქმესთან დაკავშირებით მან ბევრი რამ იცოდა, დახმარებას შეძლებდა და სასამართლოში წარმომადგენლადაც გაჰყვებოდა. თუმცა, ადვოკატს ამის შესახებ არანაირი პირობა არ მიუცია ყოფილი კლიენტისათვის.

2.13 ადვოკატი განმარტავს, რომ უსაფუძვლოა ასევე ბრალდება იმის შესახებ, რომ თითქოს მან ლ. ჯ.-ს გააყიდინა ფერმა და ავტომანქანა. პირიქით, მას ყოფილი კლიენტი აშანტაჟებდა და ბრალს სდებდა სისხლის სამართლის დანაშაულში.

2.14 ადვოკატის განმარტებით, მას არ მოუტყუებია თავისი კლიენტი, ხელშეკრულებაც პროცესის წინ არ შეწყვეტილა და ლარისას ახალი ადვოკატის აყვანის დრო ჰქონდა. ასევე, ადვოკატი განმარტავს, რომ არანაირი საპროცესო შეთანხმების შესახებ საუბარი არ ყოფილა და გარდა ამისა, ხელნაწერებისა და საბუთების განადგურების ფაქტიც უარყო, რადგან მისი განმარტებით, მას ჩანთა პირადად არ გაუხსნია და გადასცა ლარისას ნდობით აღჭურვილ პირს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი დ. ღ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 ლ. ჯ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 8 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2020 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ დ. ღ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი დ. ღ. მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად და არაკვალიფიციურად, ატყუებდა კლიენტს და არ უწევდა სათანადო მომსახურებას. ასევე, მომსახურების შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატმა არ დაუბრუნა ჰონორარი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ დ. ღ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

5.2.2 კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 3).

5.2.3 კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

5.3 კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე (ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N066/10).

5.4 კლიენტის კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა ნიშნავს, რომ ადვოკატმა სათანადო გულმოდგინებითა და სასამართლო საქმის მიმდინარეობის ყველა რისკის შეფასებით, დროულად და გასაგებ ენაზე მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, შემდეგ კი მასთან ერთად მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილებები (საქმე №034/11, 2011 წლის 27 აგვისტო).

5.5 ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დამკვიდრება, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს

მისდამი კლიენტის ნდობის საკითხი და ჩრდილი მიაყენოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალ შეხედულებას. აღნიშნულს მოითხოვს ადვოკატთა პროფესიის კორპორატიული არსი“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).

5.6 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი დ. ღ. საადვოკატო მოქმედებებს ახორციელებდა კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად და მისი ქმედებები არ მოდიოდა წინააღმდეგობაში კანონთან. მან სცადა, მაქსიმალურად დაეცვა ლ. ჯ.-ის ინტერესები და მიეღწია მოლაპარაკებისათვის მეორე მხარესთან, რაც შეძლო კიდეც. მეტიც, კლიენტის სასურველი ერთი თვის მაგივრად ადვოკატმა შეძლო, საბოლოო ჯამში მისთვის ვალდებულების შესასრულებლად სამი თვე მიეცა, თუმცა ჯანელიძემ ვალდებულების შესრულება ამ დროშიც ვერ შეძლო. დ. ღ. ზედმიწევნით ასრულებდა კლიენტის სურვილებსა და მითითებებს. ასევე, ადვოკატმა კლიენტის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2020 -2021 წლებში მოინახულა 9-ჯერ (2020 წლის 17 და 21 აგვისტოს; 2020 წლის 04 და 25 სექტემბერს; 2020 წლის 06 და 13 ოქტომბერს; 2020 წლის 04 და 30 ნოემბერს და 2021 წლის 26 იანვარს). ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურებით იკვეთება, რომ მას არ დაურღვევია საქმის კეთილსინდისიერად წარმოების ეთიკური ვალდებულება.

5.7 კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატს არ დაურღვევია ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლით გათვალისწინებული ეთიკური სტანდარტი, რომელიც ეხება გამოუმუშავებელი საადვოკატო მომსახურების ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატმა ჰონორარის სახით მიიღო 2500 ლარი. მას შემდეგ, რაც კლიენტს მის მიმართ გაუჩნდა უნდობლობა, მან შეწყვიტა მისი მომსახურება და აღებული ჰონორარიდან 2000 ლარი კლიენტს უკან დაუბრუნა (ანგარიშზე შემოსავლის დოკუმენტი N94250/14192, თანხის მიმღები - ზ. გ., თანხა გადარიცხა - დ. ღ.-მ), ხოლო 500 ლარი დაიტოვა, რადგან მიიჩნევს, რომ ეს თანხა თავის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების პროპორციულია.

5.8 კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ ხელნაწერებისა და საბანკო ქვითრების განადგურების ფაქტს.

5.9 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ დ. ღ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მის ქმედებაში არ დადგინდა პროფესიული სტანდარტების: კვალიფიციურობის, კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნებისა და ნდობის პრინციპის დარღვევა.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N038/21 ადვოკატ დ. ღ.-ის მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/